

პოლიტიკური დეტექტივი

მთავარი მოქმედი პირები:

პოლიტიკური ანტითეზა - რუსეთის ფედერაცია
უნომივი - გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში
თოჯინები - კონფლიქტში მონაწილე მხარეები
აქტიორები - საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი მრავალმხრივი ეფექტური

პროგრამები

გ უ ლ წ რ ფ ე ლ ა დ , ღ ი ა დ
დ ა ხ უ რ უ ლ ი თ ა მ ა შ ი

ნინო ციხისთავი
22 დეკემბერი, 2006 წ

შესავალი

ბოლო 10 წელზე მეტია, რაც პოსტ-კონფლიქტური ქვეყანა გვქვია. ამ სტატუსმა რამდენიმე მდგრადი მიმართულების ღირებულება უფრო განამტკიცა ქართველ ერში. მათ შორის ერთი პრიორიტეტულია: ჩვენ აღარ გვინდა ომი, ჩვენ გვინდა მშვიდობა; ომმა დაგვაზარალა, მშვიდობით ავაშენებთ დანგრეულს.

ეს ყველაფერი გასაგებია საქართველოს გადასახედიდან. ამ სამშვიდობო მიმართულებას, დღიდან ჩასახვისა, განვითარება დაუწყვეთ. განვითარებაში კი ბევრი მხარდამჭერი შემოგვიერთდა. თან გვასწავლიდნენ, თან გვაკეთებინებდნენ სამშვიდობო პროცესს. რამდენიმე რამ საკმაოდ კარგად გვასწავლეს: მათ შორის, კონფლიქტის მოგვარება და მშვიდობისმშენებლობა - როგორც თეორია, ასევე პრაქტიკა. ბევრი წიგნი ითარგმნა და გავრცელდა ჩვენს საზოგადოებაში. ბევრმა დიდი წარმატება ნახა მკითხველში. უმეტესობა შინაგანად გაძლიერდა იმ პრინციპებზე ფიქრითა და საუბრით, რასაც შერიგება, პატიება, მოლაპარაკება და ბოლოს - მშვიდობის მშენებლობა ჰქვია.

ამ ბევრში მეც ვურევივარ: ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი და ეტაპი სწორედ ამ იდეოლოგიას მივუძღვენი, რასაც ჰქვია ქალის როლი კონფლიქტის მოგვარებაში. და თუ დღეს შემიძლია რაიმე ვთქვა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე, უნდა ვილაპარაკო მხოლოდ იმ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც დამიგროვდა კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარების საერთო სურათის - ერთ პატარა კომპონენტში - ქალის როლი მშვიდობის მშენებლობაში.

ეს მიმართულება ძალზედ მნიშვნელოვანი და მრავლისმომცველია. მას დღეს აღიარებს როგორც საერთაშორისო საზოგადოება, ასევე კონფლიქტში ჩართული მხარეებიც. ქალის როლი კონფლიქტის მოგვარებასა და მშვიდობის მშენებლობაში, დღეისათვის განსაზღვრული და გამყარებულია რიგი საერთაშორისო დოკუმენტებითა და ინსტრუმენტებით. მისი განმარტება და განვითარების გზები ასახულია მრავალ დეკლარაციაში, კონვენციასა და

რეზოლუციაში, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. მაგრამ, მათ პოპულარიზაციას ემსახურება ბევრი საერთაშორისო პროგრამა: რომ ხალხმა გაიცნოს, მიიღოს და გამოიყენოს პრაქტიკაში. ამ მიმართულებას საქართველოში უკვე თავისი ისტორია აქვს და, აგრეთვე, გამოვლენილია კონკრეტული აქტორები (players), რომლებიც წლების მანძილზე მუშაობენ და გვევლინებიან როგორც ინდივიდუალური, ასევე ინსტიტუციური სახით (ორგანიზაციები, კავშირები, ქსელები, კოალიციები და სხვა), როგორც კონფლიქტში ჩართულ მხარეთა საზოგადოებებში, ასევე - საერთაშორისო მასშტაბით (საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი პროგრამები).

როცა პრაქტიკა და თეორია გზის გასაყარზე დგება, (როგორც ეს მოხდა არსებული კონფლიქტებისა და მშვიდობის დამყარების საქმეში საქართველოში), როცა ქალაქზე დაწერილი მხოლოდ რწმენაში გადადის მაგრამ ყოველდღიურობამდე ვერ აღწევს, როცა საუბარი ერთი გვაქვს, მაგრამ რეალობა სხვა, მაშინ იწყება საინტერესო ეტაპი – ურთიერთრალდებისა და კრიტიკის: შენ ვერა და მე კი! შენ წადი და მე მოვალ! მე მოვედი, მაგრამ შენ ბევრი დამახვედრე 'ვალები', და სხვა მსგავსი.

საბოლოო ჯამში, არაფერი იცვლება: ისევ იწერება დოკუმენტები და ისევ გვასწავლიან მათ ზებირად, ისევ სხვა არის საუბარი და ისევ განსვლაშია პრაქტიკასთან. დრო კი გავიდა. არც ახლოში სჩანს რაიმე უკეთესი - გზა არ ვიცით.

ანალიზის მიზანი

დღეს, ჩემი წერილის ძირითადი მიზანი ის გახლავთ, რომ თავიდან გავიარო ქალთა შეხვედრებისა და არაფორმალური მოლაპარაკებების გზა და, ამ გზაზე გამოვლენილი ტენდენციები შევადარო იმ მოძრაობას, რომელიც ხდებოდა ზევით, გაერო-ში, სადაც იღებდნენ გადაწყვეტილებებს (უშიშროების საბჭოს რეზოლუციების სახით), რომლებიც (თითქოს) რიგ შემთხვევაში კი რჩებოდნენ ქალაქზე, ან გაერო-ს ვებ-გვერდზე, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, ზოგადად ჩვენთვის, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ გადაწყვეტილებებით დაინტერესებული ქვეყანა (ან ქვეყნები) კი, ახდენდა პირდაპირ ზეგავლენას ყველაფერზე, მათ შორის, მცირე, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფორმატის შეხვედრაზეც, სადაც შეიძლებოდა რაიმე პროცესი დაწყებულიყო და, დიდი პოლიტიკის კეთებას დაპირისპირებოდა (!).

უფრო მარტივად რომ ვთქვა, დღეის გადასახედიდან, როდესაც თვალწინ მაქვს გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2006 წლის 13 ოქტომბრის რეზოლუცია – ჩემთვის ნათელი ხდება, როგორ მარტივად იყენებს დაინტერესებული ქვეყანა – რუსეთის ფედერაცია იმ საერთაშორისო ტრიბუნას, ორგანოს, აპარატს, მანქანას – გაერო-ს - თავისი მიზნებისთვის: სამუდამოდ დაიქვემდებაროს აფხაზეთი (და არა მარტო აფხაზეთი) და ამით, ირიბად, მაგრამ ხანგრძლივად მიიბას საქართველო.

ქალთა როლი მშვიდობის მშენებლობაში რამდენიმე მიმართულებასთან ერთად მოიაზრებს კონფლიქტში ჩართულ მხარეთა წარმომადგენელ ქალთა შეხვედრას. შეხვედრებში, როგორც წესი, მონაწილეობენ ლიდერი ქალები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც მოიაზრებიან საკუთარ საზოგადოებებში აქტიურ ადამიანებად და, რომლებსაც, სამომავლოდ შეუძლიათ რაიმე პოზიტიური გავლენის მოხდენა იმავე საზოგადოების წევრებზე.

როდესაც გადავხედე წარსულს (თუძცა ეს წარსული ისე ახლოსაა ჯერ კიდევ, ისე ცოცხალია, რომ სულ მაქვს იმის განცდა, რომ ეს-ესაა ხელი შევახე მას და, ეს-ესაა იმ ადამიანებს დაემორღი, რომლებთანაც თბილი, ღია საუბრები მქონდა) და როდესაც დღეს დავალაგე გაერო-ს შტაბბინაში, კერძოდ, უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტები (რეზოლუციები), საბჭოს წევრთა სხდომათა ჩანაწერები, სადაც ისინი გამოთქვამენ საკუთარ დათქმებს, მოსაზრებებს, მიღებული რეზოლუციების გამო, დავინახე ერთი უეჭველი კავშირი, რომელიც გამოვლინდა იქ (ნიუ იორკში) მიმდინარე პროცესებსა და აქ (კონფლიქტის ზონაში), ჩატარებულ შეხვედრათა შედეგებში.

დღეს, თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ყველა ეტაპზე, როდესაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრები სხდომათა მიმდინარეობისას გამოთქვამდნენ რაიმე აუცილებელ დათქმას ან პირობას, რომელიც რომელიმე მხარეს უნდა შეესრულებინა კონკრეტულ ვადაში, აქ, საქართველოში, ამ პირობას ან საერთოდ არ ეწერა¹ შესრულება, ან პირიქით, განსაკუთრებული სისწრაფით დროში და განსხეულებული შინაარსში ხორციელდებოდა². უშიშროების საბჭოს მიერ გამოცხადებული ნების შეუსრულებლობას აგრეთვე ბევრი რამ ემსახურებოდა ადგილებზე, ხშირ შემთხვევაში ეს საერთაშორისო პროგრამები და მათი განხორციელებული საქმიანობა იყო. და თანაც, ამის პარალელურად, მაგ. სახალხო დიპლომატიის პროცესში ჩართული აფხაზური მხარის წარმომადგენლებიც, უფრო ხშირად ამ პირობათა შესრულების წარმოუდგენლობას, აბსოლუტურ შეუსრულებლობას, პრობლემის გადაუწყვეტელობას ადასტურებდნენ ყველა ტრიბუნიდან: 'ხალხი არ დაუშვებს დევნილთა დაბრუნებას'; ან 'ყველაფერზე ვისაუბროთ აფხაზეთის სტატუსის გარდა', ან კიდევ, 'ჩვენ არ ვსაუბრობთ დევნილთა შესაძლო დაბრუნებაზეც კი' ან 'საერთოდ არ გმონაწილეობთ დისკუსიაში ამ საკითხზე' და სხვა.

იქმნებოდა ის შთაბეჭდილება, რომ ერთი და იგივე გამზადებული აზრი მათი პირით, უბრალოდ, მკაფიოდაა გაჟღერებულია.

ალბათ, ადამიანურად ვერასოდეს შევძლებ, გავიგო, როდესაც გასულია დიდი დრო, გაზრდილია ახალი თაობა, ან ახლა უკვე ზრდასრულნი არიან ის თითო ბავშვები, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში – მათზე, ბავშვებზე, მოხუცებზე, ადამიანებზე, ერთი ხელის მოსმით, ერთიანად ისაუბრო ასე გაცხარებით, რომ თურმე 'არ სურთ საუბარიც კი დევნილთა დაბრუნებაზე'. არ მესმის, როგორ შეიძლება უცქირო ფანჯრიდან იმ სახლს, რომელშიც შენი მეზობლები დაიბადნენ, გაიზარდნენ, მათი იყო ის ქონება და ახლა იქ, სრულიად უაზრო, მთვან დამოუკიდებელი მიწების გამო – სხვები შესახლდნენ, და აქვე სინდისის ქენჯნის გარეშე შეგიძლია განაცხადო, რომ 'არ დაუშვებ დევნილთა დაბრუნებას'. ან კიდევ, მეორე შემთხვევა ავიღოთ, როდესაც შენს გვერდზე განადგურებულია, დანგრეულია სახლი და შენ ვირჩევნია, მას ასეთ მდგომარეობაში უცქირო, ვიდრე თქვა, აღიარო, რომ დევნილების დაბრუნების აუცილებლობა უეჭველია და ამ წინადადებას მხარს უჭერ.

¹ მაგ. 1994 წლის 31 იანვარს, გაერო დეკლარირებდა, რომ მხარეებს უფრო მეტი სიციხადით უნდა დაენახვებინათ უშიშროების საბჭოსთვის, რომ მათ, მხარეებს, ოფიციალური სურვილი აქვთ კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისა, რათა მას (უშიშროების საბჭოს) ემსჯელა სპეციალური სამშვიდობო ოპერაციის დაწყების თაობაზე აფხაზეთში, საქართველო. ამ შემთხვევაში მათთვის არ გამოიყურებოდა დამაჯერებლად არც ურთიერთგაგების მემორანდუმი (1993 წ. დეკემბერი) და არც კომუნიკე (1994 წ. 11-13 იანვარი)

² მაგ. 1993 წ. 4 ნოემბრის რეზოლუცია, რომელიც ვადას უდებდა უნომიგ-ს, რომ თუ არ მოხდებოდა რაიმე განსაკუთრებით პოზიტიური 1994 წ. 31 იანვრამდე (ე.ი. 2 თვის ვადაში) მაშინ უნომიგ-ს აღარ გაუგრძელებოდა მანდატი და მისია გაუქმდებოდა.

სწორედ იმის გამო, რომ ეს თეზა, ჩემთვის ადამიანურად მიუღებელი და ასევე ადამიანურად აუხსნელია, მე მაფიქრებინებს, რომ არსებობს პოლიტიკური ანტითეზა, რომელიც გეგმავს 'ასეთ პასუხებს' და, რომელიც აიძულებს ჩვენსავე მსგავს ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, აფხაზურ მხარეზე, რომ იძახონ ერთი და იგივე.

რა იყო მთავარი ამ პოლიტიკური ანტითეზასთვის? გაეჟღერებინა აფხაზი ხალხის ხმა! ვითომდა ხალხის ხმა, რომელიც სად უნდა ყოფილიყო უპირველესად მოსმენილი? – რა თქმა უნდა, სახალხო დიპლომატიის ფორმატში, სადაც 'მეორე მხარეც' იქნებოდა (ქართული მხარე) და, აგრეთვე, საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებიც. ეს იყო სწორედ ის ადგილი, სადაც დიდი რეზონანსი ექნებოდა პოლიტიკური ანტითეზის მიერ მომზადებულ, ნაკარნახევ და ხალხის პირით გამოხატულ 'აფხაზი ხალხის აზრს'!

აქ მე იოტიხოდენა მცდელობაც კი არა მაქვს იმისა, რომ აფხაზ ერს რაიმე შეურაცხყოფის მაგვარი მივაყენოთ იმით, რომ ის წარმოვიჩინოთ მთლიანად რუსეთის მიერ ჩაბეჭდილი აზრების გამოხატველად. რა თქმა უნდა, არა. მეტიც, მე მთელი ამ წერილით ის მარტივი არითმეტიკა გამოძღვის, რომ ქართველი და აფხაზი ხალხები, სწორედაც რომ გახდნენ სათამაშო პაიკები ამ დატრიალებული მეთელი დიდი პოლიტიკის ხელში, რომლის მმართველი ძაფებიც მათ შორის რუსეთს უპყრია. და მან, რუსეთმა, გაერო – როგორც კარგი ზონარი ჩვენი ერების ყელზე მობმული – მშვენივრად და ეფექტურად გამოიყენა. და მან, რუსეთმა აგრეთვე კარგად ასაუბრა აფხაზი და ქართველი ერების გამოუცდელი წარმომადგენლები თავისი აზრების გამოხატველებად, ხოლო, საბოლოო ჯამში ისე მოხდა, რომ მოსკოვში ჩვენივე ხელი მოეწერა ე.წ. მოსკოვის ხელშეკრულებას 1994 წლის 14 მაისს. ამაზე ყველაფერზე უფრო დეტალურად ქვევით ვისაუბრებთ.

თუმცა, ჯერ კიდევ მკაფიოა ხალხის კოლექტიური მეხსიერება, ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს, როდესაც ვსაუბრობდით იმაზე, რომ უკვე მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის მოსაწყესრიგებლად გაერო-ს სამშვიდობო ჯარები, სამშვიდობო ოპერაცია იქნებოდა ჩვენთვის მისალევი.

ამ მიმართულებით კეთდებოდა განცხადებები და ზოგადად, ხალხს ჰქონდა ამის იმედი. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ გაერო-ს ნაცვლად და, როგორც ირკვევა, გაერო-ს მხარდაჭერით, რუსეთის ჯარი შემოვიდა საქართველოში და მათ მსოფლიომ რატომღაც 'სამშვიდობო მისია' დაარქვა. დღეს-დღეისობით რუსეთის (და არა დსთ-ს) სამშვიდობო ძალებს სწორედ გაერო-ს ძალისხმევით ერთდროულად რამდენიმე მანდატი აქვს: ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორისშორების შეთანხმების კონტროლის, სამშვიდობო ოპერაციის ჩატარების და, ბოლოს, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარების. სამივე მანდატი ხელთ უპყრია რუსეთს, სამივე მისი გასაკეთებელია და ამაში საერთაშორისო საზოგადოება ნდობას უცხადებს გაერო-ს რეზოლუციის სახით, მაგრამ, არაფერია ამ დედამიწაზე მუდმივი.

(არც რეზოლუცია შეიძლება იყოს უვადო. ბოლოს და ბოლოს ქართველი ხალხი დააყენებს ვადების საკითხს და ბოლოს და ბოლოს, ჩვენც შევძლებთ გაერო-ს მოვთხოვოთ პასუხი. მით უფრო, რომ გაერო-ს დღეს ძალზედ მნიშვნელოვანი საქმე აკისრია – რეფორმა და განვითარება მის ბიუროკრატიულ აპარატში და სტრუქტურაში. ვნახოთ, რა იქნება, მაგრამ ამაზე სხვა დროს).

პოლიტიკური ანტითეზა: მინდა დღევანდელ საუბარში პირდაპირ დავარქვა ყველაფერს თავისი სახელი: ამ მიმდინარეობაში პოლიტიკური ანტითეზა - რუსეთია. ის მოქმედებს ყველა

შესაძლო და შეუძლებელი გზებით, რათა მიიღოს მოგება. რაში მდგომარეობს მოგება რუსეთისთვის?

რუსეთის პრეზიდენტების მთავარი მიმართულება მკვეთრადაა ჩამოყალიბებული. ამიტომაც, ხშირად გვეჩვენება, რომ რუსეთში, მიუხედავად პრეზიდენტების სხვადასხვაობისა, ერთიან პოლიტიკას ატარებენ. სინამდვილეში, რუსეთში საჭიროებაა ძალიან კონკრეტული და პოლიტიკაც ამ საჭიროების დაკმაყოფილებას ემსახურება. რუსეთის საჭიროება კი ნათელია: ამხელა ტერიტორიაზე მოჩვენებითი სტაბილურობა შიმშილის მცირედი ზღვარით იყოს მიღწეული. ამ საჭიროებას ორი რამ შეიძლება მოემსახუროს: ძალა და სულიერება. ძალა - არმიას, სულიერება კი - ეკლესიას. ჰოდა, სულაც რომ თავდაყირა დადგეს რუსეთის პრეზიდენტი, ამ ორ მიმართულებას უნდა მისდიოს: დააპუროს არმია და გუნდრუკი აკმევინოს ეკლესიას. ასე ერიც მშვიდად იქნება და ბერიც.

როგორ დააპუროს რუსეთმა არმია: (რა ჩვენი საფიქრალი ეგ არისო, იფიქრებს ადამიანი, მაგრამ, როგორც ირკვევა, ჩვენი საფიქრალი კი არა მართო, ჩვენი კონფლიქტები კვებავენ პირდაპირ) ავღანეთის შემდეგ არც თუ ისე დიდი დრო გავიდა. რუსეთის ძლევა მოსილ არმიას, რომელიც გაბნეული იყო საბჭოთა რესპუბლიკებსა და დამატებით თითქმის გასაბჭოებულ რესპუბლიკებში (ქვეყნებში), ბევრი ქვეყნის დატოვება მოუხდა. ამან სერიოზული ნეგატიური მოძრაობა გამოიწვია როგორც ხალხის მასებში, ასევე ცენტრალურ ბიუჯეტშიც. დაიწყო უკმაყოფილოთა ზრდა. ამ დროს რუსეთი მოიფიქრებს მშვენიერ გამოსავალს და სწრაფად 'სთავაზობს' (თავს ახვევს) როგორც საკუთარ ფორმიან ძალოვანებს, აგრეთვე მსოფლიოს: რუსეთი, დიდი დერჟავა, მსოფლიოში გამოდის როგორც დიდი 'მშვიდობისმყოფელი' და მისი ჯარი იძულებით შეჰყავს კონფლიქტურ ზონებში, რათა იქ 'სტაბილურობა დაიცვას'. რაშია რუსეთის ბენეფიტი ამ შემთხვევაში? ფულში, არმიის გაძლიერებაში, საკუთარი ხალხის დაკმაყოფილებაში, მსოფლიოს კონტროლში, ძალის დემონსტრირებაში, და მრავალი სხვა მიმართულების დიდ მოგებაში.

ეს ყველაფერი მინდა პირდაპირ დავაკავშირო გაერო-სთან, გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებთან საქართველოს შესახებ. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს ჭრილობა ცხელ-ცხელია. სისხლი იღვრება და რუსეთი/პოლიტიკური ანტითეზა იწყებს თავის თამაშს საკუთარი არმიის დასაბინავებლად, და აგრძელებს ძველ თამაშს საკუთარი ტერიტორიული ინტერესების მისაღწევად.

ვნახოთ, როგორ არის ეს მიბმული გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებთან. და რაზე დაყრდნობით მიიღება ეს გადაწყვეტილებები?

ქვეყნები საქართველოს უჭერენ მხარს

გაერო-ს ვებ-გვერდზე მოთავსებულია უშიშროების საბჭოს სხდომათა ოქმები (ჩანაწერები), რომელთა ანალიზი სრულიად მკაფიო სურათს გვაძლევს, თუ რომელი ქვეყანა, ან რომელი ქვეყნის ოფიციალური დელეგაცია იდგა იმთავითვე საქართველოს პრობლემების მიმართ პრინციპული პოზიციით და რომელი ქვეყნები იდგნენ საქართველოს გვერდით.

მეორეს მხრივ, ამ ქვეყნების დიდი უმრავლესობა სრულიად რეალისტურად აფასებდა მაშინაც, თუ რა საშიშროება იყო რუსეთის ფედერაცია, და თუ კი რუსეთს ხელავდნენ აგრეგირად გააქტიურებულს, უშუალოდ ყოფილიყო საქართველოში მომხდარი

კონფლიქტების 'შვიდობიანი მოგვარების გარანტი', დანარჩენი ქვეყნები გამოთქვამდნენ საკუთარ ეჭვს, აკეთებდნენ დათქმებს მისაღებ თუ მიღებულ რეზოლუციებზე.

თუმცა, დრო გავიდა და მათი 'დათქმები', 'აუცილებლად შესასრულებელი პირობები', რომლებიც საქართველოს უნდა გამოეყენებინა მაშინვე, გაუფერულდა, გაიცრიცა და ახლა კი მხოლოდ მაშინდელი მიღებული მკვეთრი რეზოლუციები რჩება შეუსრულებელი.

ამ საკითხმა მაშინ დამაფიქრა, როდესაც 2006 წ. 13 ოქტომბერს, ისევ ნიუ-იორკში, ისევ შეიკრიბა გაერო-ს უშიშროების საბჭო ისევ საქართველოზე სამსჯელოდ. და ახლა უკვე (ამდენი წლის შემდეგ) ისევ განუახლეს საქართველოს 12 წლის წინ მიღებული ვალდებულებები და ისევ დააკისრეს საქართველოს 'ცივილიზებულ ურთიერთობებში დაბრუნება'.

რას ნიშნავს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია და რა ძალა აქვს მას, ამაზე (თუმცადა, ეს უდავოდ ფართოდაა სამსჯელოა ჩვენი საზოგადოების მხრიდან) არ შევჩერდები. მხოლოდ იმის ცდა მექნება ქვემოთ, რომ გამოვიყვანოთ შედარებით ნათელი სურათი, აღვადგინოთ მოვლენები 1993-94 წწ, როდესაც დაიდო ე.წ. 'მოსკოვის ხელშეკრულება'-ს მომზადება და მას მერე დატრიალდა საქართველოს თავზე დღესაც მოუშორებელი ჭირი.

ფაქტობრივად, ომში დავმარცხდით იმ დღეს, როცა გადაწყდა, რომ რუსეთის ჯარი 'სამშვიდობო' ნიღბით შემოვიდოდა საქართველოში. ამ ყველაფრის მიჩუმათებით კი დღეს ის მივიღეთ, რომ სეპარატისტები და მათი მოსკოველი კრემლის 'მძებნი' მიუთითებენ საქართველოს – დაუბრუნდეს 'ცივილიზაციას' – ანუ შეასრულოს გაერო-ს მითითებები – რეზოლუციები (ბაღაფში, კოკოთი, ტელე ინტერვიუ, 2006 წ.).

საგა გაერო-ზე და მის სადამკვირვებლო მისიაზე საქართველოში

1992 წლის ნოემბერში გაერო-ს განყოფილება გაიხსნა თბილისში

1993 წლის:

- ⇒ მათში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი დაინიშნა საქართველოში
- ⇒ 4 აგვისტოს გენერალური მდივანი აგზავნის ჯგუფს 10 სამხედრო დამკვირვებლის შემადგენლობით საქართველოში; ამ ჯგუფმა ბინა ქ. სოხუმში დაიღო
- ⇒ 24 აგვისტოს გაერო-ს უშიშროების საბჭო დაადგენს ჩამოაყალიბოს უნომიგის მისია 88 სამხედრო და სამოქალაქო დამკვირვებლის შემადგენლობით

1993 წლის სექტემბერი – შეიარაღებული შეტაკება განახლდა ქართველებსა და აფხაზებს შორის (27 სექტემბერს სოხუმის დაეცა).

1993 წლის 4 ნოემბერი – უნომიგის მანდატი დროებითი გახდა³.

და აი აქ დგება კრიტიკული მომენტი. ერთის მხრივ, გაერო-ს რეზოლუციით უშიშროების საბჭო პირდაპირ აცხადებს, რომ უნომიგ-ს აძლევს 2 თვიან ვადას (4 ნოემბერი 1993 წ. – 31 იანვარი 1994წ) და თუ ამ ვადაში რაიმე ძალიან ხელშესახები პროგრესი არ

³ 4 ნოემბრის რეზოლუცია 881 (1993)

გამოვლინდება, საერთოდ შეწყვეტს უნომიგი-ს მისიის არსებობის მანდატს საქართველოში. რატომ იქნებოდა ეს ასეთი კატასტროფა უნომიგისათვის?

ამ დროისათვის უნომიგ-ს 5 დამკვირვებელი დაუტოვეს. მანდატიც დროებითი, 2 თვიანი აქვს.

არადა, უნომიგი უკვე მიეჩვია დიდ შტატს, ძალაუფლებას, სულ რაღაც 2 თვის წინ (აგვისტოში) მას ჯერ კიდევ 88 დამკვირვებელი ჰყავდა შტატში⁴. მისი ბიუჯეტი დაახლოებით 2,5 მლნ. აშშ დოლარი იყო.

აქ კი უკვე ნათლად გამოჩნდა ერთი საკითხი: ან რაიმე უნდა იღონონ, ან წავიდნენ სახლებში მისიიდან.

სწორედ ამიტომ ხომ არ აეწყო ყველაფერი 'კარგად'? მთავარი ფაქტორი - დროითი ჩარჩო, უკვე არსებობდა საკითხების წინ წასაწევად: ხომ მიიღო უნომიგ-მა 2 თვე ვადა საქმის გამოსასწორებლად?

ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ:

1993 წლის 1 დეკემბერს ხელი სასწრაფოდ მოეწერა ქართულ-აფხაზურ ურთიერთგაგების მემორანდუმს (*ჟენევა, პირველი რაუნდი*);

რამდენიმე დღეში, მოსკოვში (*15-16 დეკემბერი, 1993 წ. ქ. მოსკოვი*) კი - პირველად შეიკრიბა ექსპერტმა ჯგუფი აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე რეკომენდაციების მისაღებად (პირველი ასეთი შეხვედრა სტატუსზე სასაუბროდ)⁵

კიდევ რამდენიმე დღეში:

1994 წლის 11-13 იანვარს, (*ჟენევა, მეორე რაუნდი*) შეიმუშავეს მხარეებმა კომუნიკე.

ასევე წინასწარ გამოცხადდა, რომ დაიგეგმა თებერვლის (*მესამე რაუნდის შეხვედრა*) მოლაპარაკება (ან *ჟენევაში ან მოსკოვში?*).

მემორანდუმიც და კომუნიკეც გაიგზავნა ნიუ-იორკში, გაერო-ს შტაბ ბინაში, უშიშროების საბჭოსთვის წარსადგენად.

ერთი სიტყვით, ვადაში ჩაეტია ყველაფერი. 2 თვე ყველამ იმუშავა და საშური შედეგები მიიღწა.

მაშ, ვინ გეგმავს, ვინ საუბრობს და ვინ არის დასაქმებული (*მაღალი სახელფასო განაკვეთით*) ჩვენს, ქართულ-აფხაზურ კრილობაში?

ახლა ეს ყველაფერი დოკუმენტურად:

⁴ იხ. უნომიგ-ის ვებგვერდი

⁵ აქ მოსაძიებელია ამ შეხვედრის მონაწილეთა აზრი, რაც მაქვს ინფორმაცია, ამ შეხვედრამ დიდი წვლილი ვერ შეიტანა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრაში, რადგან აფხაზური მხარე მაინცადამაინც არ იყო მოტივირებული, ღიათ ესაუბრა ამ თემაზე ('ჩვენ არ გვინდა პოლიტიკური სტატუსის განხილვა', 'ჩვენ არ გვინდა დევნილთა დაბრუნებაზე საუბარი' და სხვა გამონათქვამები, რომლებიც კარგად მოამზადა წინასწარ პოლიტიკურმა ანტიოქსამ)

1993 წლის 1 დეკემბერი, ჟენევა, შეხვედრა, ურთიერთგაგების მეორანდუმი (პირველი რაუნდი)

1994 წლის 11-13 იანვარი, ჟენევა, შეხვედრა, კომუნიკე (მეორე რაუნდი)

მოლაპარაკებათა მეორე რაუნდის მონაწილეებმა აფხაზეთში მდგომარეობის შესახებ – მიიღეს კომუნიკე. კომუნიკეს ხელმოწერილი ტექსტი გაერო-ს გენერალურ მდივანს⁶ იმავე დღეს (13 იანვარი, 1994 წ.) გადაუგზავნა საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, განსაკუთრებულმა და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-მა პეტრე ჩხეიძემ.

წამდვარებულ წერილში გამოჩნდა⁷ ერთი დამატებითი პარაგრაფი, სადაც ბატონი ჩხეიძე სთხოვს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მდივანს მოიწვიოს საბჭოს სხდომა კონკრეტულად ერთი საკითხის გამო – გაერო-ს სამშვიდობო ძალების გამოსაყოფად საქართველოში და სხვა ზომების მისაღებად, რომლებზეც იმ კომუნიკეში იყო საუბარი.

კომუნიკე გარდა საერთო ზოგადი დებულებებისა, მოიცავს ერთ საინტერესო მომენტს, როდესაც (პარაგრაფი 2) მხარეები გამოთქვამენ მხარდაჭერას, რომ კონფლიქტის ზონაში განლაგდეს გაერო-ს სამშვიდობო ჯარები, ან სხვა ძალები, რომლებიც სანქციონირებულნი იქნებიან გაერო-ს მიერ. მხარეებმა ორმხრივი შეთანხმება გამოთქვეს, რომ ასეთი ძალების შემადგენლობაში გამოიყენონ რუსეთის სამხედრო კონტინგენტი.⁸

მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ როგორც კი გაერო-ს უშიშროების საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას – კონფლიქტის ზონაში გაზარდოს საერთაშორისო დამკვირვებლების რიცხვი და შეიყვანოს სამშვიდობო ძალები – 5 დღეში გაიყვანენ ყველა შეიარაღებულ ფორმირებას და საბრძოლო ტექნიკას მდ. ენგურიდან და სხვა შესაძლო საზღვრებიდან იმ მანძილზე, რომელსაც დაადგენს სამშვიდობო ჯარების ხელმძღვანელობა და გაერო-ს დამკვირვებელთა მისია – მხარეებთან შეთანხმებით.

აქვე, კომუნიკეში ძალიან საინტერესო წინადადება გამოთქვეს მხარეებმა:

მხარეთა აზრით, პრობლემის გადაჭრას მოემსახურებოდა გაერო-ს ეგიდით სპეციალური ნებაყოფლობითი ფონდის შექმნა. (კომუნიკე, მუხლი 3, გვ. 3)

კომუნიკეს ხელი მოაწერეს:

ქართული მხრიდან: ჯ. იოსელიანი

აფხაზური მხრიდან: ს. ჯინჯოლია

გაერო – ე. ბრუნერი

ეუთო – ვ. მანნო

რუსეთის ფედერაციის დასწრებით: ბ. პასტუხოვი

ერთი შეხედვით, არაჩვეულებრივი დოკუმენტია, თითქოს, ბევრი რამ მისაღებია არა?

ახლა ჯერი გაერო-ს უშიშროების საბჭოზეა. ვნახოთ, როგორ ვითარდება მოვლენები შემდეგ.

⁶ Бутрос Бутрос-Гали (Египет) (1992-1996 годы) ბუტროს ბუტროს გალი - გაერო-ს გენერალური მდივანი 1992-1996 წწ. 1 იანვარი 1997 – 31 დეკემბერი 2006 – კოფი ანანი, გაერო-ს გენერალური მდივანი

⁷ აქ აქცენტები მინდა გავაკეთო და თქვენი ყურადღება მივაქცო ამ წერილის თარიღს, სადაც საქართველო სთხოვს უშიშროების საბჭოს, მიიღოს გადაწყვეტილება და სამშვიდობო ოპერაცია დაიწყოს საქართველოში.

⁸ S/ 1994/21* 18 January 1994 (Communiqué, p. 3)

1994 წლის 4 აპრილს ქ. მოსკოვში ჩატარდა ოთხმხრივი შეხვედრა, რომელზეც ხელი მოეწერა დევენილთა და ლტოლვილთა ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება გაერო-ს გენერალურ მდივანს მეორე დღესვე (5 აპრილი, 1994 წ.) გადაუგზავნა საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, განსაკუთრებულმა და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-მა პეტრე ჩხეიძემ⁹. ხელშეკრულება მოიცავდა განცხადებას, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისა.

ხელშეკრულების მე-3 პუნქტში ხელმომწერი მხარეები იძლევიან პირობას, მკაცრად დაიცვან ვალდებულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ადასტურებენ, რომ მიღებული კომუნიკეთი მათ აქვთ აღებული ვალდებულება არ გამოიყენონ ძალა ან მუქარა ერთმანეთის წინააღმდეგ (კომუნიკე, 13 იანვარი 1994 წ.)¹⁰.

ხელშეკრულების მე-5 პუნქტი კი აღნიშნავს, რომ მხარეები გამოთქვამენ თხოვნას, რომ სასწრაფოდ დაიწყოს სამშვიდობო ოპერაცია და გაერო-ს მშვიდობისმყოფელთა შემადგენლობაში რუსეთის სამხედრო კონტინგენტმა მიიღოს მონაწილეობა, თანახმად მემორანდუმისა¹¹ და კომუნიკესი¹².

მხარეები კვლავ მოუწოდებენ გაერო-ს უშიშროების საბჭოს გააფართოვოს გაერო-ს დამკვირვებლების მისიის მანდატი საქართველოში¹³.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს:

ქართული მხრიდან: ა. კავსაძე,

აფხაზური მხრიდან: ს. ჯინჯოლია

გაერო – ე. ბრუნერი

უეთო – ვ. მანნო

რუსეთის ფედერაციის დასწრებით: ბ. პასტუხოვი

1994 წ. 14 მაისს, ქ. მოსკოვში დაილო ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორების შესახებ აფხაზეთის კონფლიქტში მხარეებს შორის. ეს ხელშეკრულებაც გაერო-ს გენერალურ მდივანს მეორე დღესვე (5 აპრილი, 1994 წ.) გადაუგზავნა საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, განსაკუთრებულმა და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-მა პეტრე ჩხეიძემ¹⁴.

ახლა რა ხდება, ერთის მხრივ, ერთი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტაზე უკვე არსებობს: (ჟენევაში მეორე რაუნდი მოლაპარაკებებისა, 11-13 იანვარი, 1994). ეს შეთანხმება არც თუ ისე დიდი ხნის წინ არის მიღებული, რომ მხარეებს არ ახსოვდეთ. რამდენი დრო გავიდა? გავიდა 4 თვე, მაგრამ ისიც კარგად ახსოვთ მხარეებს, ხელმომწერებს, რომ ის კომუნიკე იმ დღესვე გაიგზავნა გაეროში, უშიშროების საბჭოში. მეტიც, ბ-მა პეტრე ჩხეიძემ წასამძღვარებელ წერილში ერთი დამატებითი პარაგრაფიც კი გააპარა მასში და სთხოვა

⁹ S/1994/397 5 April 1994

¹⁰ S/1994/32* 18 January 1994 (მოლაპარაკებების მეორე რაუნდი, ჟენევა, 11-13 იანვარი, 1994 წ.)

¹¹ Меморандум о понимании от 1 декабря 1993 года (S/26875, приложение)

¹² Коммюнике от 13 января 1994 г.

¹³ UNOMIG was established in August 1993 to verify compliance with the ceasefire agreement between the Government of Georgia and the Abkhaz authorities in Georgia. UNOMIG's mandate was expanded following the signing by the parties of the 1994 Agreement on a Ceasefire and Separation of Forces. (<http://www.un.org/Depts/dpko/missions/unomig/index.html>)

¹⁴ S/1994/583, 17 May 1994

თავმჯდომარეს, გაერო-ს სამშვიდობო ძალების შემოსაყვანად სპეციალური შეხვედრა მოეწვია უშიშროების საბჭოში.

რა მოხდა? რა რეაგირება იყო გაეროში? ამ ოთხ თვეში. ვინ გააქტიურდა ნიუ-იორკში ამ დროს და ვისი ინტერესების ლობირება ხდებოდა კორიდორებში?

ვნახოთ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეაგირება 1994 წ. 13 იანვრიდან 14 მაისამდე და გავიგოთ, რატომ დასჭირდათ მხარეებს ხელახლა შეხვედრა მოსკოვში (1994წ. 14 მაისი, ქ. მოსკოვი) ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე საუბარი?

გაერო, უშიშროების საბჭო იყენებს რუსეთის ფედერაციის მიერ მომზადებულ სცენარს

1994 წ.

გაერო-ს შტაბბინაში, (ნიუ იორკი) კიდევ ერთხელ შეიკრიბა უშიშროების საბჭო, რათა ემსჯელათ დაგადაწვევტილება მიეღოთ საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

გაერო-ს უშიშროების საბჭო შეიკრიბა საქართველოს საკითხის განსახილველად (13 იანვრის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც პ. ჩხეიძემ გააგზავნა) 31 იანვარს¹⁵.

უშიშროების საბჭო ადგენს: (და პრაქტიკულად არაფერს ამბობს მხარეთა გაგზავნილ მოთხოვნაზე, რომ გაერო-მ აფხაზეთში, საქართველო, დაიწყოს სრულმასშტაბიანი სამშვიდობო ოპერაცია!?)

მამასადამე, უშიშროების საბჭო დაადადგენს:

მხედველობაში იღებს გენერალური მდივნის მოხსენებას¹⁶,

უფრო მაღალი ხარისხით უნდა დემონსტრირება მხარეების მხრიდან, რომ ისინი მზად არიან, მიაღწიონ პროგრესს ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოგვარების გზაზე;

ამტკიცებს გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატის გაგრძელებას¹⁷ (კიდევ 5 კვირით);

მხედველობაში იღებს გენერალური მდივნის მოხსენებაში წარმოდგენილ ვარიანტებს შესაძლო სამშვიდობო ოპერაციაზე გაერო-ს მხრიდან მშვიდობის დასამყარებლად აფხაზეთში, საქართველო;

ელოდება მესამე რაუნდის მოლაპარაკებების შედეგებს¹⁸, რათა კიდევ განიხილოს სამშვიდობო ოპერაციის შესაძლებლობა აფხაზეთში, საქართველო.

ანუ, პრაქტიკულად, გაერო ვერ აკმაყოფილებს 13 იანვრით დათარიღებულ მხარეთა მიმართვას (გაიგზავნა კომუნიკე) რომ სამშვიდობო ოპერაცია დაიწყოს საქართველოში!

¹⁵ Резолюция 896 (1994), принятая Советом Безопасности на его 3332-м заседании, 31 января 1994 года

¹⁶ доклад Генерального секретаря от 25 января 1994 года; S/1994/80 25 January 1994

¹⁷ 6. *утверждает* продление мандата МООННГ до 7 марта 1994 года при численном составе, установленном в резолюции 892 (1993); (Резолюция 896 (1994))

¹⁸ შეგახსენებთ, რომ გაერო-ს ეგიდით უკვე ჩატარდა 1 და მე-2 რაუნდის მოლაპარაკებები (შესაბამისად – 1 დეკემბერი, 1993; 11-13 იანვარი, 1994 წ. ჟენევა). პირველი რაუნდის შედეგი იყო მემორანდუმი ურთიერთგაგებაზე, მეორე რაუნდის მოლაპარაკებების შედეგი იყო კომუნიკე (არ გამოიყენონ ძალა, შეწყვიტონ ცეცხლი, სთხოვონ გაერო-ს შემოვიდეს სამშვიდობო ოპერაციით). მესამე რაუნდი დაგეგმილი იყო 22 თებერვალს 1994 წ.

გნახოთ, რა იყო გენერალური მდივნის მოხსენებაში¹⁹, რის გამოც, ფაქტიურად თავი შეიკავა უშიშროების საბჭომ სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებაზე საქართველოში, მიუხედავად კონფლიქტში ჩართულ მხარეთა ერთობლივი მოთხოვნისა. აგრეთვე საინტერესოა, რა ვარიანტები შესთავაზა გენერალურმა მდივანმა თავის მოხსენებაში უშიშროების საბჭოს?

გენერალური მდივნის მოხსენება რამდენიმე ნაწილისგან შედგება: ახსენებს საბჭოს გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატს საქართველოში²⁰,

აკეთებს ჩამონათვალს და ქრონოლოგიას მხარეთა შეთანხმებებზე, აგრეთვე ახსენებს საბჭოს, რომ 1993 წლის 1 დეკემბერს ჟენევაში ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის შემდეგ მან უშიშროების საბჭოს უკვე სთხოვა დამატებით 50 სამხედრო დამკვირვებელი და ხაზი გაუსვა, რომ მისიის ასეთი გაძლიერება, და მისი მომავალში კიდევ გაფართოვება უკეთ დაეხმარებოდა ადგილზე მუშაობაში.

მოხსენებაში არის თავი ა) 'პოლიტიკური ძალებისშეხვეტი, სადაც ვრცლად არის აღწერილი მემორანდუმი და კომუნიკე. და კიდევ ხაზგასმულია მხარეთა სურვილი, სრულმასშტაბიანი სამშვიდობო ოპერაციის აუცილებლობაზე გაერო-ს მხრიდან.

(ცალკე თავი ბ) აღწერს 'ლტოლვილებს და გადაადგილებულ პირებს', აქ მოყვანილია გაერო-ს დევნილთა უმაღლესი კომისარის მოსაზრებები ლტოლვილთა და იკპ-თა რაოდენობაზე. და რა თქმა უნდა, კომუნიკეზე, რომელიც ამ საკითხებს ეხება – დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებას.

შემდეგ განიხილავს (თავი გ) ეკონომიკურ საკითხებს და ცალკე თავში (თავი დ) აღწერს გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის სამხედრო მდგომარეობას.

და ბოლოს, ჩვენთვის საინტერესოა (თავი ე) ნაწილი – 'შენიშვნები' –

ციტატა მოხსენებიდან²¹:

Е. Замечания

21. Корни этого конфликта уходят в далекое прошлое ...

22. Если в этих обстоятельствах Совет Безопасности решит, что более широкое международное военное присутствие в Абхазии целесообразно как для укрепления режима прекращения огня, так и создания условий для возвращения беженцев и перемещенных лиц, то это присутствие могло бы быть обеспечено в нескольких возможных формах. Две такие формы, в частности, обсуждались с моим Специальным представителем и с группой государств – членов, **именующих себя** «друзьями Грузии». Эти два варианта сводятся к следующему:

а) вариант 1. Совет мог бы создать традиционные силы Организации Объединенных Наций по поддержанию мира под командованием Организации, которые первоначально действовали бы в Гальском районе и в районах рек Ингури и Псоу, имея целью обеспечение эффективного разъединения сил, наблюдение и разоружение и выводом вооруженных формирований и создание своим присутствием в качестве нейтральной стороны в Гальском районе созданию условий, благоприятствующих возвращению беженцев и перемещенных лиц. Российская Федерация распространила неофициальный

¹⁹ <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/041/50/PDF/N9404150.pdf?OpenElement>

²⁰ до 31 января 1994 года МООННГ присутствует со следующим временным мандатом: а) поддержать контакты с обеими сторонами в конфликте и с военными контингентами Российской Федерации; б) наблюдать за ситуацией и представлять доклады в Центральные учреждения с уделением особого внимания любым событиям в связи с предпринимаемыми ООН усилиями по содействию всеобъемлющему политическому урегулированию.

²¹ S/1994/80 Russian page 5.

документ с предложением о развертывании подобной операции. По ее предварительным подсчетам, чтобы быть эффективными, такие силы должны насчитывать порядка 2500 военнослужащих. В соответствии с обычной практикой ООН эти силы были бы многонациональными, доля военнослужащих из какой-либо одной страны не превышала бы трети от общей численности личного состава;

აქ უშიშროების საბჭოს და გენერალურ მდივანს, პრაქტიკულად აშინებენ მოსალოდნელი დიდი ხარჯებით (რუსეთის ფედერაციამ დათვალო და არაოფიციალურად გაავრცელო) უდიდესი ფულით, რომელიც შესაძლო იქნებოდა, რომ გაერო-ს გაეღო, თუ დამოუკიდებელ სამშვიდობო ოპერაციას დაიწყებდა. მაგრამ, მიაქციეთ ყურადღება, რომ ამ ვარიანტშივე თვითონ უნომიგი-ს მანდატის შენარჩუნებისა და გაგრძელების აუცილებლობა არ დგას. სხვაგვარად არის საქმე მეორე ვარიანტში, რომლის მიღებაც ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იყო თვითონ უნიმიგის-ა და რაღა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციისათვის. ასეც მოხდა. ეს უკვე ქვემოთ იქნება განხილული.

ბ) вариант 2. Совет мог бы санкционировать создание многонациональных вооруженных сил, не находящихся под командованием ООН и состоящих из контингентов, предоставленных заинтересованными государствами – членами, включая Российскую Федерацию, для выполнения функций, описанных в варианте 1 выше. МООННГ была бы сохранена и на нее были бы возложены задачи наблюдать за действиями многонациональных сил, поддерживать контракты с местными властями в Абхазии и следить за развитием событий на местах. Для того, чтобы МООННГ могла выполнить эти функции, страны, выделяющие контингенты в состав многонациональных сил, должны были бы представить ООН информацию о концепции операции этих сил, структурах командования и управления, развертывании, правилах, регулирующих применение оружия, и т.д. В характере функционирования этих многонациональных сил, без сомнения, нашли бы отражение принципы в отношении таких сил в регионе СБСЕ, установленные в решениях Совета СБСЕ в Риме 1 декабря 1993 года (S/26843), а именно: уважение суверенитета и территориальной целостности; согласие сторон; беспристрастность; многонациональный характер; четкий мандат; транспарантность; органическая связь с процессом политического разрешения конфликта; а также наличие плана упорядоченного вывода. В соответствии с этим вариантом численность персонала МООННГ зависела бы в первую очередь от развертывания и деятельности многонациональных сил. По предварительным оценкам, потребовалось бы до 200 военных наблюдателей плюс необходимый вспомогательный гражданский персонал.

კარგი შესადარებელია გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებისათვის. ამ მე-2 ვარიანტში მათ დიდი ფული აღარ დაეხარჯებათ, აქ ბიუჯეტის სულ მცირედ გაზრდას მოელიან: თუ 88 დამკვირვებელი 6 თვეში 2,5 მლნ. დოლარი უჯდებოდათ, დაახლოებით ერთი ამდენი (ცოტა მეტი) უნდა დაუმატონ, ხოლო პირველ ვარიანტში (იხ. ზემოთ) კი, რუსეთის ფედერაცია არაოფიციალური დოკუმენტით აშინებთ – 2500 სამხედრო პერსონალი დასჭირდებათ მაგ საქმეს. თანაც, პირველი ვარიანტი ნაკლებად სახარბიელოა უნომიგი-სთვის, მის ლობირებას არც კი დაიწყებს არასდროს – პირველ ვარიანტში ზომ ეს მისია საერთოდ არ არის გათვალისწინებული და მისი მანდატიც გაუქმდება!

ხოდა, ასე დაახლოებით 5-6 მილიონი დოლარის (200 სამხედრო დამკვირვებელი უნომიგის გაგრძელებულ მანდატში, როგორც ვარიანტი ბ) მოითხოვს) თანხა წირვასავით გამოუყვანეს საქართველოს – შედეგად რუსეთი მიიღებს 'მრავალეროვანი' სამხედრო ძალის შექმნაზე გაერო-ს სანქციას.

მარტივი და ღია თამაშია, მთავარია, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ჩვეულებრივი ადამიანები ვიყოთ საქმის კურსში, თუ რა დაატრიალებს ჩვენს თავს და რას გვაზღვევინებენ დღევანდელი დღის ჩათვლით. ამასთან, ამ დოკუმენტების ცოდნა გვაიარაღებს იმ ძალით, როდესაც კარგად ჩანს, თუ რა უნდა გავაკეთოთ დღეს, როგორ უნდა დავანაწილოთ როლები ჩვენს საზოგადოებაში რომ რუსეთის ურდო გადავავლოთ ერთხელ და მტკიცედ.

ვინ იყო ამ დროს უნომიგ – ის მისიის ხელმძღვანელი²² - ბატონი ელუარდ ბრუნერი²³. რამდენი ადამიანი იყო მისიაში მაშინ (20 ადამიანი) თუმცა მან, მისიის ხელმძღვანელმა, თავის მოხსენებაში გაერო-ს გენერალური მდივნის სახელზე - მოითხოვა დამატებით კიდევ 50 სამხედრო დამკვირვებელი (მათ შორის იმ 5-ის გამოკლებით, რომელიც უკვე იყო აქ, მისიაში).

და რატომ აღმოჩნდა მისი რეკომენდაცია გადამწყვეტი უშიშროების საბჭოსთვის (მისი რეკომენდაციები უშიშროების საბჭოს სხდომაზე წარადგინა გენერალურმა მდივანმა ბუტროს-ბუტროს ვალიძემ).

²² В ноябре 1992 года в столице Грузии — Тбилиси — было открыто отделение Организации Объединенных Наций с целью обеспечения комплексного подхода Организации Объединенных Наций в регионе и оказания содействия в усилиях Генерального секретаря по установлению мира.

В мае 1993 года Генеральный секретарь назначил Специального посланника по Грузии. Его первая поездка в регион вновь подтвердила, что все стороны выступают в поддержку активной роли Организации Объединенных Наций в достижении мирного урегулирования конфликта. 27 июля 1993 года между правительством Грузии и абхазскими властями в Гудауте было заключено новое соглашение, которым устанавливалось прекращение огня с 28 июля. Соглашение предусматривало незамедлительное начало поэтапной демилитаризации зоны конфликта. Для контроля за этим процессом в течение 10–15 дней с даты прекращения огня должны были быть развернуты международные наблюдатели. 4 августа Генеральный секретарь предложил направить передовую группу в составе до **10 военных наблюдателей** Организации Объединенных Наций для оказания содействия в проверке соблюдения прекращения огня. Затем передовая группа войдет в состав группы по наблюдению, если Совет Безопасности примет решение о ее создании. Совет согласился с этим предложением. Передовая группы прибыла в Абхазию 8 августа 1993 года и развернула свою штаб-квартиру в Сухуми. Затем передовая группа начала регулярное дорожное патрулирование в целях проверки соблюдения соглашения. В первоначальных докладах, полученных от группы, подтверждалось, что прекращение огня соблюдается. 24 августа 1993 года Совет Безопасности в резолуции 858 (1993) постановил учредить Миссию Организации Объединенных Наций по наблюдению в Грузии (МООННГ) в составе **до 88 военных наблюдателей и гражданского персонала** минимальной численности для поддержки Миссии в целях проверки соглашения о прекращении огня.

4. Расширение мандата МООННГ

После того как первоначальный мандат МООННГ утратил свою силу в результате возобновления боевых действий в Абхазии в сентябре 1993 года, Миссия в резолуции 881 (1993) Совета Безопасности от 4 ноября 1993 года получила временный мандат на поддержание контактов с обеими сторонами в конфликте и с военными контингентами Российской Федерации и на наблюдение за ситуацией и представление докладов с уделением особого внимания любым событиям в связи с предпринимаемыми Организацией Объединенных Наций усилиями по содействию всеобъемлющему политическому урегулированию.

14 мая 1994 года после нескольких раундов сложных переговоров, проходивших под руководством Специального посланника Генерального секретаря, грузинская и абхазская стороны подписали в Москве Соглашение о прекращении огня и разъединении сил. Стороны договорились о развертывании миротворческих сил Содружества Независимых Государств (СНГ) с целью наблюдения за соблюдением Соглашения, а МООННГ будет наблюдать за осуществлением Соглашения и за деятельностью сил СНГ.

27 июля 1994 года в соответствии с рекомендацией Генерального секретаря Совет Безопасности расширил мандат МООННГ соответствующим образом и увеличил ее численность **до 136 военных наблюдателей**. Миссии были поручены следующие задачи: наблюдение и контроль за выполнением сторонами Соглашения о прекращении огня и разъединении сил; **наблюдение за операцией миротворческих сил СНГ** в рамках осуществления Соглашения; контроль путем наблюдения и патрулирования за тем, чтобы войска сторон не оставались в зоне безопасности и не возвращались в нее и чтобы тяжелая боевая техника не оставалась в зоне безопасности или зоне ограничения вооружений и не вводилась туда вновь; наблюдение за районами хранения тяжелой боевой техники, выведенной из зоны безопасности и зоны ограничения вооружений, в случае необходимости в сотрудничестве с миротворческими силами СНГ; наблюдение за выводом войск Республики Грузия из Кодорского ущелья в места за пределами Абхазии, Республика Грузия; регулярное патрулирование Кодорского ущелья; расследование сообщений или утверждений о нарушениях Соглашения и попытки урегулирования или содействия урегулированию таких инцидентов; регулярное представление докладов Генеральному секретарю, в частности об осуществлении Соглашения, любых нарушениях и их расследование МООННГ, а также о других соответствующих событиях; поддержание тесных контактов с обеими сторонами в конфликте и **сотрудничество с миротворческими силами СНГ**, а также благодаря своему присутствию в районе содействие созданию благоприятных условий для безопасного и упорядоченного возвращения беженцев и перемещенных лиц.

